თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისალმება საქართველოს პარლამენტს საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან ექვსი თვის შესრულებისა გამო

საქართველოს პარლამენტი

მე - 67 კრება

სამშაბათს, 1918 წ. დეკემბრის 3 - ს.

ტფილისის სასახლე.

თავმჯდომარეობს: პარლამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე. მდივნობს პარლამენტის მდივნის ამხანაგი: იოსებ აბაკელია. პრეზიდიუმშია პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგნი: იესე ბარათაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი. აგრეთვე პარლამენტის მდივ-ანი: დავით ონიაშვილი.

კრება ნაშუადღევის 12 ს. 30 წ. იწყება.

ტფილის. სახელმწ. უნივესრსიტეტის მისალმება.

კრების გახსნისას თავმჯდომარის წინადადებით მდივანი კი-თხულობს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს დამოუკი-დებლობის დღიდან ექვსი თვის შესრულებისა გამო შემდეგ მისალმებას:

„საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის

პარლამენტის თავმჯდომარეს ბ. ნიკოლოზ ჩხეიძეს.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო წრფელის გულით იზიარებს ქართველ ერის სიხარულს საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის ნახევარი წლის დღესასწაულის გამო. გილოცავთ თქვენ და მთელს პარლამენტს ამ დიდ დღეს და გისურვებთ კვლავ მხნედ და შეუდრეკლად

განაგრძოთ ნორჩი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ქართველი ერის პოლიტიკურ უფლებათა დაცვა და გან-მტკიცება. დეე, მტკიცე საძირკველზედ დაემყაროს თავისუ-

ფალ საქართველოს შენობა, ყველა მოქალაქეთათვის სანატ-
რელი და სასიქადულო.

უნივერსიტეტიც თავის მხრივ მზადაა მთელი თავისი
ცოდნა და ძალ - ღონე შესწიროს აღორძინებული საქართვე-
ლოს აყვავებასა და საყვარელი სამშობლოს შეუწყვეტლივ
კულტურულ წარმოებას.

რექტორი, დამსახურებული პროფესორი პ.
მელიქიშვილი.

პროფესორთა საბჭოს მდივანი ი. ყიფშიძე.